

## საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში საკასო-საემისიო ოპერაციების წარმოების წესი

დამტკიცებულია  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის  
2000 წლის 1 დეკემბრის N325 ბრძანებით

შეტანილია ცვლილებები საქართველოს  
ეროვნული ბანკის პრეზიდენტის  
2001 წლის 4 დეკემბრის N 291 ბრძანებით  
2004 წლის 28 აპრილის N 81 ბრძანებით  
2004 წლის 28 დეკემბრის N 287 ბრძანებით  
2005 წლის 5 ივლისის N 156 ბრძანებით  
2005 წლის 29 ნოემბრის N 304 ბრძანებით  
2006 წლის 23 თებერვლის N 62 ბრძანებით  
2006 წლის 2 აგვისტოს N 212 ბრძანებით

### თავი I. საკასო-საემისიო საქმიანობის რეგულირება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, აწესრიგებს ეროვნული ბანკის სისტემაში საკასო-საემისიო ოპერაციების წარმოებას და ვრცელდება როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაზე.

2. ეროვნული ბანკის სისტემაში სალაროების მოწყობისა და ტექნიკური გამაგრების საკითხებს, კომერციულ ბანკებსა და მათ ფილიალებთან ეროვნული ბანკის ურთიერთობას, ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირების წესსა და სხვა ტექნიკურ საკითხებს არეგულირებს „კომერციულ ბანკებში საკასო ოპერაციების წარმოების წესების შესახებ“ დებულება და ეროვნული ბანკის სხვა ნორმატიული დოკუმენტები.

3. ეროვნული ბანკი და მისი ფილიალები საკასო ოპერაციების წარმოებისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2005 წლის 2 თებერვლის N3 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების გადასახდელად ვარგისიანობის განსაზღვრის კრიტერიუმებითა და მათი მიღება-გამოცვლის წესებით“.

4. ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის საკასო ცენტრი (შემდგომში - საკასო ცენტრი) და ფილიალები კომერციულ ბანკებსა და მათ ფილიალებთან (შემდგომში – კომერციული ბანკები) საკასო ოპერაციებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ახორციელებენ ხელშეკრულების საფუძველზე.

5. სარეზერვო ფონდები ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის განკარგულებაშია და მიმოქცევაში ფულის ნიშნების გაშვება მხოლოდ მისი ნებართვის საფუძველზე ხდება.

6. ეროვნული ბანკის სისტემაში სარეზერვო ფონდებისა და საბრუნავი სალაროს ლიმიტს ამტკიცებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან კურატორი ვიცე-პრეზიდენტი (შემდგომში - ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა) საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის წარდგინებით.

7. ეროვნული ბანკის სისტემაში არსებული ფასეულობის დაცულობისა და საკასო-საემისიო ოპერაციების წარმოებისათვის პასუხისმგებლობა უშუალოდ ეკისრებათ საკასო ცენტრისა და ეროვნული ბანკის ფილიალის იმ თანამდებობის პირებს, რომელთა მატერიალური პასუხისმგებლობაც გათვალისწინებულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებულ თანამდებობრივ მოვალეობებში (შემდგომში - მატერიალურად პასუხისმგებელი პირები) და რომლებთანაც დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით ფორმდება ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ (დანართი N1).

8. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, ავადმყოფობა, მივლინება და სხვ.) მათი მოვალეობის დროებითი შემსრულებლის დანიშვნა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, ხოლო ფასეულობის გადაბარებას დანარჩენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად ესწრება საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელი და, მისი გადაწყვეტილებით, სხვა არამატერიალურად პასუხისმგებელი პირი. დგება გადაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ყველა მონაწილე პირი.

9. ეროვნული ბანკის სისტემაში საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ ხდება მოლარეთა შორის მონაცვლეობა, ხოლო მოლარისათვის სალაროს უფროსის ფუნქციების დაკისრება ხდება საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის წინადადებით ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.

10. სალაროს მუშაკებთან ფორმდება ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

11. ნაღდი ფულთან და სხვა ფასეულობასთან მომუშავე პირებს უნდა ჰქონდეთ სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12. ეროვნული ბანკის სისტემაში საკასო-საემისიო უბანზე დასაქმებული მუშაკები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან ამ წესითა და სხვა

სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, აგრეთვე, ყველა ის პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლო, რომელიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან. არცოდნის გამო ისინი არ თავისუფლდებიან დაკისრებული პასუხისმგებლობიდან.

13. საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მის ფილიალებს შორის ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ინფორმაციების მიღება-გადაცემა ხდება სპეციალური დაშიფრული პროგრამის მეშვეობით.

14. საკასო ცენტრისა და ეროვნული ბანკის ფილიალების ხელმძღვანელები ვალდებული არიან ყოველი სამუშაო კვირის ბოლოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის წარუდგინონ ინფორმაცია კვირის განმავლობაში საბრუნავ სალაროში შემოსული და გასული თანხების, აგრეთვე სარეზერვო ფონდსა და საბრუნავ სალაროში არსებული ნაშთების (კუპიურული შემადგენლობის ჩვენებით) შესახებ (დანართი N2).

15. ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგის შესავსებად საკასო ცენტრში ფულის ნიშნების მიღება, აგრეთვე საზღვარგარეთიდან უცხოური ვალუტის მიღება ან მათი საზღვარგარეთ გაგზავნა ხდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერილი დავალებით (დანართი N3).

## **თავი II. საემისიო ოპერაციების წარმოება**

მუხლი 2. ეროვნული ბანკის ფილიალების ნაღდი ფულითა და სხვა ფასეულობით მომარაგება

1. ეროვნული ბანკის ფილიალების სარეზერვო ფონდებში ნაღდი ფულის ნაშთის ლიმიტის მოცულობა განისაზღვრება ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

2. მოძველებული ფულის ნიშნები ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სარეზერვო ფონდებში შეტანილი ფულის მარაგი ნაშთის ლიმიტში არ ითვლება.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი ფილიალების ნაღდი ფულითა და სხვა ფასეულობით მომარაგება ან ფილიალებიდან მოძველებული და ლიმიტს ზემოთ არსებული ჭარბი ფულის (ფასეულობის) საკასო ცენტრში ჩაბარება, აგრეთვე ერთი ფილიალიდან მეორე ფილიალში ფასეულობის გადატანა ხორციელდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერილი დავალებით. ეროვნული ბანკის ფილიალის მომარაგებისა და ფილიალში დაგროვილი

ჭარბი თანხების გამოტანის მიზნით ეროვნული ბანკის ფილიალის ხელმძღვანელი მოსალოდნელი გაცემის გათვალისწინებით უგზავნის მოთხოვნას (დანართი N4) საქართველოს ეროვნულ ბანკს.

3'. ფილიალის მკაცრი აღრიცხვის ბლანკებით მომარაგება შესაძლებელია განხორციელდეს მათი წარმომადგენლის მეშვეობით, ფილიალის ხელმძღვანელის წერილობითი მომართვისა და მინდობილობის საფუძველზე.

4. ეროვნული ბანკიდან მისი ფილიალების მომარაგებისათვის გაცემული თანხები მთლიანად ჩაირიცხება ფილიალების სარეზერვო ფონდებში (უცხოური ვალუტა და სხვა ფასეულობა - საბრუნავ სალაროში).

5. ამოღებულია

6. ეროვნული ბანკიდან მის ფილიალებში ნაღდი ეროვნული ვალუტის გადაგზავნისას.

ა) დავალების მიღებისთანავე ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი შესაბამისი გასავლის ორდერით თანხას ჩამოწერს NN0101, 0102 ბალანსგარეშე ანგარიშებიდან და გადაიტანს N0103 ბალანსგარეშე ანგარიშზე. ივსება თანხები ნუსხა (დანართი N5) სამ ცალად. ინკასატორის მიერ დამოწმებული დავალებისა და ნუსხის თითო პირი რჩება საკასო ცენტრში, ხოლო დავალების პირველი პირი და ნუსხის ორი პირი ინკასატორის მეშვეობით თანხასთან ერთად ეგზავნება ფილიალს;

ბ) ეროვნული ბანკის ფილიალი ინკასატორისაგან თანხის მიღებას ადასტურებს მიღებულ დავალებასა და ნუსხებზე ხელმოწერით, დავალებისა და ნუსხის თითო პირი რჩება ფილიალში, ხოლო ნუსხის დამოწმებული პირი ინკასატორის მეშვეობით უბრუნდება სპეცგადაზიდვების განყოფილებას. შემოსავლის ორდერით თანხა აღირიცხება N0111, N0112 ბალანსგარეშე ანგარიშების შემოსავალში, იმავდროულად საკასო ცენტრში იგზავნება დასტური ფულის ნიშნების მიღებისა და სათანადო ანგარიშებზე ასახვის შესახებ. განსაკუთრებულ შემთხვევაში (როდესაც ვერ ხერხდება ფასეულობის შესაბამის ანგარიშებზე ასახვა), ფილიალი დალუქულ ფასეულობას ინკასატორებისაგან იღებს დროებით შესანახად, დგება მიღება-ჩაბარების აქტი, საცავს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად ლუქავს ინკასატორი, ხოლო სამუშაო დღის დაწყებისთანავე ინკასატორის თანდასწრებით საცავის გახსნისა და ფასეულობის მიღების შემდეგ ხდება მისი შესაბამის ანგარიშებზე ასახვა;

გ) მიღებული დასტურის საფუძველზე საკასო ცენტრის მიერ გასავლის ორდერით თანხა ჩამოიწერება N0103 ბალანსგარეშე ანგარიშიდან.

7. ეროვნული ბანკის ფილიალებიდან საკასო ცენტრში ჭარბი ან ხმარებისათვის უვარგისი ეროვნული ვალუტის ჩაბარებისას გამოიყენება NN0111, 0112, 0113 და 0114 ბალანსგარეშე ანგარიშები (ნაცვლად NN0101, 0102, 0103 ანგარიშებისა).

8. ანალოგიურად ხდება ეროვნული ბანკის ერთი ფილიალის მიერ მეორე ფილიალის ნაღდი ფულითა და სხვა ფასეულობით მომარაგება იმ განსხვავებით, რომ ფულის ნიშნების მიმღები ფილიალი უგზავნის დასტურს გამომგზავნს და ეროვნულ ბანკს. აღნიშნული ოპერაციების შესრულებისას ხდება შემდეგი ბუღალტრული გატარება: გამგზავნი ბანკი გარებალანსური გასავლის ორდერით თანხას ჩამოწერს NN0111,0112 ანგარიშებიდან და გადაიტანს N0113 ანგარიშზე. მიმღები ბანკი მიღებულ თანხას გარებალანსური შემოსავლის ორდერით აღრიცხავს NN0111, 0112 ანგარიშებზე. დასტურის მიღების საფუძველზე გამგზავნი გარებალანსური გასავლის ორდერით ჩამოწერს N0113 ანგარიშზე რიცხულ თანხას.

9. უცხოური ვალუტის მოძრაობისას გამოიყენება NN1012 (1013), 1016 ანგარიშები.

მუხლი 3. სარეზერვო ფონდებიდან საბრუნავ სალაროში ნაღდი ფულის გადატანა

1. ეროვნული ბანკის საკასო ცენტრისა და ფილიალების საბრუნავი სალაროს ნაშთის ლიმიტის მოცულობა განისაზღვრება ნაღდი ფულის საშუალო დღიური გაცემის ოდენობით. საბრუნავი სალაროს ნაშთის ლიმიტში ითვლება როგორც ვარგისი, ისე მოძველებული ფული.

2. საკასო ცენტრის /ეროვნული ბანკის ფილიალის/ ხელმძღვანელი ადგილობრივი შემოსავლებისა და მოსალოდნელი გაცემების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნულ ბანკს უგზავნის მოთხოვნას /დანართი N6/ სარეზერვო ფონდიდან საბრუნავ სალაროში გადასატანი თანხის ოდენობის შესახებ.

3. ეროვნული ბანკის საკასო ცენტრისა და ფილიალების სარეზერვო ფონდებიდან თანხების საბრუნავ სალაროში გადატანა ხორციელდება მხოლოდ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსის მიერ ხელმოწერილი საემისიო ნებართვის საფუძველზე (დანართი N7), სადაც მიეთითება საერთო თანხა ბანკნოტებისა და მონეტების ჩვენების გარეშე.

4. ეროვნული ბანკის ფილიალი (საკასო ცენტრი) საემისიო ნებართვის მიღებისთანავე ეროვნულ ბანკს უგზავნის დასტურს ნებართვაში მითითებული თანხის ჩვენებით (ელექტრონული ფოსტით მიღებული ფაილი გადაიტანება არქივში შესანახად).

5. სარეზერვო ფონდებიდან საბრუნავ სალაროში თანხების გადატანის საემისიო ნებართვაში აღნიშნული თანხის გამოყენება შეიძლება მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებართვის მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში და მხოლოდ იმ თვეში, რომელშიც გაცემულია ეს ნებართვა.

6. საემისიო ნებართვა, რომელიც რაიმე მიზეზით იწვევს ექვს, შესასრულებლად არ მიიღება და დაუყოვნებლივ ეცნობება მის გამომგზავნს. ასეთი საემისიო ნებართვა უქმდება, ხოლო ხელახლა მიღებული ნებართვის შესრულების ვადა განისაზღვრება მისი მიღების დღიდან.

7. სარეზერვო ფონდებიდან საბრუნავ სალაროში თანხების გადატანის საემისიო ნებართვას უნდა ჰქონდეს აღმავალი ნომერი. ერთი და იგივე ნომრით მეორედ მიღებული საემისიო ნებართვა შესასრულებლად არ მიიღება.

8. მიღებული საემისიო ნებართვის უკანა მხარეს საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელი კუპიურების მიხედვით შიფრავს გადასატან თანხას, აწერს ხელს და შესასრულებლად გადასცემს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც აგრეთვე ხელს აწერენ მას.

9. საემისიო ნებართვების რეგისტრაცია ხდება დავთარში (დანართი N8), რასაც ხელს აწერენ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

10. სარეზერვო ფონდებიდან საბრუნავი სალაროს გამაგრებისას გასავლის ორდერით თანხა ჩამოიწერება NN 0101,0102 (0111, 0112) ბალანსგარეშე ანგარიშებიდან და ხდება შემდეგი ბუღალტრული გატარება: დებეტი – 1002 (1003); კრედიტი - 3001, 3002 (890).

11. სარეზერვო ფონდებიდან საბრუნავ სალაროში თანხების გადატანის დღეს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის ეგზავნება შეტყობინება (დანართი N9).

12. შეტყობინების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი ყოველდღიურად უდარებს ეროვნული ბანკისა და მისი ფილიალების სარეზერვო ფონდების ნაშთებს საბუღალტრო მონაცემებს.

13. თუ საემისიო ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში ნებართვაში აღნიშნული თანხა მთლიანად არ იქნა გამოყენებული, ნებართვის დარჩენილი თანხა ანულირდება, რის შესახებაც კეთდება სათანადო ჩანაწერი საემისიო ნებართვების სარეგისტრაციო დავთარში და დაუყოვნებლივ ეგზავნება შეტყობინება ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს.

მუხლი 4. საბრუნავი სალაროდან ლიმიტს ზევით არსებული თანხების სარეზერვო ფონდებში გადატანა

1. თუ ეროვნული ბანკის საკასო ცენტრისა და ფილიალების საბრუნავ სალაროში საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ თანხა აღემატება ნაშთის დაწესებულ ლიმიტს, ლიმიტს ზევით არსებული თანხები იმავე დღეს მთლიანად გადაიტანება სარეზერვო ფონდებში, რის შესახებაც ეგზავნება შეტყობინება (დანართი N9-ა) ეროვნულ ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს.

2. საბრუნავი სალაროდან ჭარბი ფულის სარეზერვო ფონდებში გადატანისას შემოსავლის ორდერით თანხა აღირიცხება NN0101,0102,0104 (0111,0112,0114) ბალანსგარეშე ანგარიშის შემოსავლებში და გატარდება ბალანსზე: დებეტი - 3001, 3002 (890); კრედიტი – 1002 (1003).

მუხლი 5. საბრუნავ სალაროში არსებული ფულის ნიშნების სარეზერვო ფონდის ფულის ნიშნებით შეცვლა

1. ეროვნული ბანკის საკასო ცენტრს და ფილიალებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, საბრუნავ სალაროში არსებული მოძველებული ფულის ნიშნები გაცვალონ სარეზერვო ფონდების ვარგის ფულის ნიშნებზე, აგრეთვე ერთი ნომინალის ვარგისი ფულის ნიშნები სხვა ნომინალის ვარგის ფულის ნიშნებზე ან ხურდა ფული - ბანკნოტებზე და პირიქით.

2. აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება საკასო ცენტრის (ან ფილიალის) ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე შემოსავალ-გასავლის ორდერებით.

3. სარეზერვო ფონდებიდან ვარგისი ფულის ნიშნების საბრუნავ სალაროში გადატანა ხორციელდება სარეზერვო ფონდებში ფაქტობრივად ჩადებული ფულის ნიშნების საერთო თანხის ოდენობით.

4. აღნიშნული ოპერაციის შესასრულებლად საბრუნავ სალაროში გამოიწერება შემოსავალ-გასავლის ორდერი (დანართი N10) და მოხდება შემდეგი ბუღალტრული გატარება: დებეტი - 908; კრედიტი – 1002 (1003) (ფულის ამოღება), ერთდროულად, დებეტი 1002 (1003) და კრედიტი 908 (სალაროს შევსება).

5. იმავდროულად ფონდებიდან ამოღებული ვარგისი ფული ჩამოიწერება N0101 ან N0102 (0111 ან 0112) ანგარიშებიდან ბალანსგარეშე შემოსავალ-გასავლის ორდერით (დანართი 11), სადაც მიეთითება მიღებული და გაცემული თანხის ოდენობა ნომინალების მიხედვით, ხოლო ფონდებში შემოსული ვარგისი ან მოძველებული ფული აღირიცხება შესაბამისად N0102,0101 ან N0104 (0112,0111 ან 0114) ბალანსგარეშე ანგარიშების შემოსავალში.

6. ბანკნოტების მონეტებზე გადაცვლისას ზემოაღნიშნული ოპერაციების დამატებით მოხდება შემდეგი ბუღალტრული გატარებები: საკასო ცენტრში - დებეტი 3001, კრედიტი 3002 ანგარიში, ეროვნული ბანკის ფილიალებში - დებეტი 3001 (890), კრედიტი 908 და დებეტი 908, კრედიტი 3002 (890) ანგარიში. მონეტების ბანკნოტებზე გადაცვლისას ბუღალტრული გატარებები იწარმოებს პირიქით.

7. ვარგისი ფულის ნიშნის მხოლოდ ნომინალების გაცვლა ხორციელდება შემოსავალ-გასავლის ორდერებით, ბუღალტრული გატარებების გარეშე.

8. ფულის ნიშნების გამოცვლის ოპერაციების განხორციელებისთანავე აღნიშნულის შესახებ ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს ეგზავნება შეტყობინება (დანართი N9-ბ).

მუხლი 6. ეროვნულ ბანკში საემისიო ოპერაციების მართვა

1. ეროვნული ბანკის სისტემაში საემისიო ოპერაციებს უშუალოდ მართავს საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

2. დეპარტამენტი აკონტროლებს ეროვნული ბანკის ფილიალების ნაღდი ფულითა და სხვა ფასეულობით უზრუნველყოფას, ფილიალებიდან ჭარბი და მოძველებული თანხების გამოტანას, მიმოქცევაში თანხების გაშვებას.

3. დეპარტამენტი ეროვნული ბანკის ფილიალების ნაღდი ფულითა და სხვა ფასეულობით მომარაგებისა და მიმოქცევაში თანხების გაშვებასთან დაკავშირებით მიღებული მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე ამოწმებს მის საფუძვლიანობას რეგიონის სპეციფიკისა და მოსალოდნელი გაცემის გათვალისწინებით.

4. დეპარტამენტი აწარმოებს სარეზერვო ფონდების დავთარს (დანართი N12) და ადგენს პირად ბარათებს თითოეული ფილიალის მიხედვით (დანართი N13).

5. ეროვნული ბანკის სისტემაში სარეზერვო ფონდებსა და საბრუნავ სალაროში არსებული ნაშთების შესახებ დეპარტამენტში მიღებული ინფორმაცია უდარდება ეროვნული ბანკის ბუღალტერიაში წარდგენილ მონაცემებს. რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში საკითხი დგება ხელმძღვანელობის წინაშე.

თავი III. საბრუნავ სალაროში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემა

მუხლი 7. საბრუნავ სალაროში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება

1. ეროვნული ბანკის სისტემაში კომერციული ბანკებისაგან მიიღება მხოლოდ მოქმედი წესით ფორმირებული ბანკნოტები და მონეტები.

2. ეროვნული ბანკის სისტემაში კლიენტებისაგან სათანადო ანგარიშებზე ჩასარიცხად თანხები მიიღება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი სამუშაო რეჟიმით.

3. კომერციული ბანკებისაგან ფორმირებული ნაღდი ფული შემოსავლის სალაროში მიიღება ნაღდი ფულის შეტანის განაცხადის (დანართი N14), ნუსხისა და სალაროს შემოსავლის ჟურნალის (დანართი N16) საფუძველზე. სხვა კლიენტებისაგან სალაროში ნაღდი ფულის მიღება ხდება ნაღდი ფულის შეტანის განაცხადისა და სალაროს შემოსავლის ჟურნალის საფუძველზე. ეროვნული ბანკის თანამშრომლებისგან და ანგარიშის არმქონე პირებისგან შემოსავლის სალაროში ნაღდი ფული მიიღება შემოსავლის ორდერისა (დანართი N15) და სალაროს შემოსავლის ჟურნალის საფუძველზე.

4. ბუღალტრული ოპერაციების შემსრულებელი მუშაკი (ბუღალტერი) ნაღდი ფულის შეტანის განაცხადისა და ნუსხის სისწორის შემოწმების შემდეგ ხელს აწერს განაცხადს, ავსებს სალაროს შემოსავლის ჟურნალს ორ ეგზემპლარად და განაცხადსა და ნუსხასთან ერთად კურიერის მეშვეობით ან თავად გადასცემს შემოსავლის მოლარეს.

5. ნაღდი ფულის შეტანის განაცხადის, ნუსხისა და სალაროს შემოსავლის ჟურნალის მიღებისას შემოსავლის მოლარე (შემდგომში - მოლარე) ბუღალტრის ხელმოწერის ნამდვილობის, ციფრებითა და სიტყვებით ჩაწერილი თანხების შესატყვისობის, შემოტანილი ფულის შეფუთვის, პლომბების (კლიშეების) სიმრთელისა და რეკვიზიტების სისწორის შემოწმების შემდეგ ჟურნალის ორივე ეგზემპლარზე შესაბამის გრაფაში ხელმოწერით ადასტურებს დოკუმენტების მიღებას და ერთ ეგზემპლარს უბრუნებს ბუღალტერს. ბანკნოტები ითვლება კონებისა და ნეკნების, მონეტები კი ტომრებისა და მათზე მიკერებული იარაღების მიხედვით. არაფორმირებული თანხების მიღების ან ეროვნული ბანკის ფილიალებში გადათვლის სალაროს არარსებობის შემთხვევაში, შემოსული თანხები ითვლება ფურცლობრივად და ცალობით. სალაროს მუშაკის მაგიდაზე უნდა იდოს მხოლოდ შემომტანის კუთვნილი თანხა.

6. განაცხადისა და აღწერილობის არასწორად შევსების, მათში ასახული და ფაქტობრივად შემოტანილი თანხების შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანების

არსებობის შემთხვევაში, თანხმდები დოკუმენტებზე სათანადო აღნიშვნის შემდეგ თანხა უბრუნდება შემომტანს, ხოლო ჩანაწერი უქმდება, ფულის შემოტანის განაცხადი გადაიხაზება და თავსდება სალაროს დღიურ დოკუმენტებში.

7. ფულის მიღების შემდეგ მოლარე განაცხადის ფორმასა და სალაროს შემოსავლის ჟურნალის მეორე ეგზემპლარის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით ადასტურებს ფულის მიღების ფაქტს, ქვითარს ასვამს ბეჭედს და აძლევს თანხის შემომტანს, ორდერი და სალაროს შემოსავლის ჟურნალი უბრუნდება ბუღალტერს, ხოლო განაცხადება და აღწერილობა რჩება მოლარესთან. შემოსავლის მოლარის მიერ ბუღალტრისათვის დაბრუნებული შემოსავლის ჟურნალის ორივე ეგზემპლარი ჩაეკვრება ბუღალტერიის დღიურ საბუთებში.

8. კომერციული ბანკებისაგან შემოსული თანხები იმავდროულად აისახება ანგარიშზე შემდეგი ბუღალტრული გატარებით: დებეტი - ანგარიში N2504, კრედიტი - შემომტანის ანგარიში, უცხოურ ვალუტაზე დებეტი - ანგარიში N1012 (1013), კრედიტი - შემომტანის ანგარიში, ხოლო ზედმეტობა-დანაკლისის ან საეჭვო ფულის გამოვლენის შემთხვევაში სათანადო კორექტირება ხდება არა უგვიანეს მეორე დღისა.

9. ეროვნული ბანკის თანამშრომლებისაგან და ანგარიშის არმქონე პირებისაგან თანხების მიღებისას ბუღალტერი ავსებს შემოსავლის ორდერს სამ ეგზემპლარად, სალაროს შემოსავლის ჟურნალს ორ ეგზემპლარად და კურიერის მეშვეობით ან თავად გადასცემს შემოსავლის მოლარეს.

10. სალაროს შემოსავლის ორდერისა და ჟურნალის მიღებისას შემოსავლის მოლარე ბუღალტრის ხელმოწერის ნამდვილობის, ციფრებითა და სიტყვებით ჩაწერილი თანხების შესატყვისობის, შემოტანილი ფულის შეფუთვისა და რეკვიზიტების სისწორის შემოწმების შემდეგ ჟურნალის ორივე ეგზემპლარზე შესაბამის გრაფაში ხელმოწერით ადასტურებს დოკუმენტების მიღებას და ერთ ეგზემპლარს უბრუნებს ბუღალტერს. შემოსული თანხები ითვლება ფურცლობრივად და ცალობით. სალაროს მუშაკის მაგიდაზე უნდა იდოს მხოლოდ შემომტანის კუთვნილი თანხა.

11. ფულის მიღების შემდეგ მოლარე შემოსავლის ორდერის სამივე ეგზემპლარზე და ჟურნალის მეორე ეგზემპლარზე ხელმოწერით ადასტურებს ფულის მიღების ფაქტს, ორდერის მეორე ეგზემპლარს ასვამს ბეჭედს და აძლევს თანხის შემომტანს, ორდერის მესამე ეგზემპლარი და სალაროს შემოსავლის ჟურნალი უბრუნდება ბუღალტერს, ხოლო ორდერის პირველი ეგზემპლარი რჩება მოლარესთან. შემოსავლის ჟურნალის ორივე ეგზემპლარი ორდერთან ერთად ჩაეკვრება ბუღალტერიის დღიურ საბუთებში.

## მუხლი 8. ფულის ნიშნების გადათვლა-დამუშავება

1. შემოსავლის სალაროში მიღებული ფორმირებული ფულის მიღება და შემდგომი დამუშავების კონტროლი ეკისრება შესაბამის პასუხისმგებელ მუშაკს.
2. განსაკუთრებულ შემთხვევაში ფულის გადათვლელად შენახვა შეიძლება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.
3. ფულის ნიშნების დამუშავების შემდეგ ხდება შემდეგი ბუღალტრული გატარება: მოძველებული ფული – დებეტი – N3001,3002, კრედიტი – N2504 და აისახება N90104 ბალანსგარეშე ანგარიშზე; ვარგისი ფული – დებეტი – N1002 (1003), კრედიტი - ანგარიში N2504.
4. საკასო ცენტრში ფულის ნიშნების ავტომატურად განადგურების შემთხვევაში განადგურებული ფულის თანხა ბალანსზე აისახება შემდეგნაირად: დებეტი – NN3001,3002, კრედიტი – N2504.
5. საკასო ცენტრში ფულის ნიშნების ავტომატურად დამუშავების შემთხვევაში დღიურ საბუთებში სხვა დოკუმენტებთან ერთად აუცილებლად უნდა ინახებოდეს ფულის დამმუშავებელი მოწყობილობის მიერ ავტომატურად დაფიქსირებული მონაცემები, დამოწმებული ამ ოპერაციებისათვის პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებით.
6. გადათვლის პროცესში ზედმეტობა-დანაკლისის, არგადახდითი ან ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დგება ცნობა (დანართი N17).
7. ზედმეტობა-დანაკლისის ან არგადახდითი ფულის გამოვლენისას ცნობა დგება 3 პირად, რომელთაგან ერთი – ეგზავნება შემომტანს /არგადახდითი ბანკნოტის შემთხვევაში ფულის ნიშნთან ერთად/, მეორე – ბუღალტერს, მესამე – რჩება სალაროს. ზედმეტობა-დანაკლისის და არგადახდითი ფულის ნიშნების გამოვლენის დროს ხდება შემდეგი გატარებები: დანაკლისის და არგადახდითი ფულადი ნიშნების გამოვლენისას დებეტი - შემომტანის ანგარიში, კრედიტი - ანგარიში N2504 (N1012 /1013/); ზედმეტობის შემთხვევაში დებეტი - ანგარიში N2504 (N1012/1013), კრედიტი - შემომტანის ანგარიში.
8. გადათვლისას ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში ცნობა დგება ოთხ პირად და ყალბი ფულის ნიშნები აღირიცხება რაოდენობით N0929 ბალანსგარეშე ანგარიშზე. ცნობის ერთი პირი ეგზავნება შემომტანს, მეორე – ბუღალტერს, მესამე პირი რჩება ფულის ნიშნების დამუშავების უბანს, მეოთხე პირი ყალბი ფულის ნიშნთან ერთად იმავდროულად გადაეცემათ ექსპერტებს ბუღალტრისათვის განკუთვნილ ეგზემპლარსა და შესაბამის ორდერზე ხელმოწერით (ეროვნული ბანკის ფილიალის მიერ

ცნობის მეოთხე პირი ყალბი ფულის ნიშანთან ერთად დალუქული სახით იმავდროულად ეგზავნება ეროვნულ ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს. მიღებული ყალბი ფულის ნიშნები აღირიცხება N0929 ანგარიშზე და გადაეცემათ საკასო ცენტრის ექსპერტებს).

9. ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან გამოცვლის მიზნით დაზიანებული ფულის ნიშნების მიღებისას, ვარგისი ფულის ნიშანი აუნაზღაურდება შემომტანს, გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი უბრუნდება შემომტანს, ხოლო ყალბი ფულის გამოვლენის შემთხვევაში დგება ცნობა სამ პირად (დანართი N20), რომლის ერთი პირი ეძლევა შემომტანს. ყალბი ფულის ნიშანი სათანადო დავთარში (დანართი N21) გატარების შემდეგ აღირიცხება N0929 ანგარიშზე და ცნობის ორ პირთან ერთად შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემათ საკასო ცენტრის ექსპერტებს.

10. კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ გამოვლენილი ყალბი ფულის ნიშნები ცნობასთან ერთად (დანართი N20) დალუქული სახით ეგზავნება საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფული მიმოქცევის დეპარტამენტს. მიღებული ყალბი ფულის ნიშნები აღირიცხება N0929 ანგარიშზე და გადაეცემათ საკასო ცენტრის ექსპერტებს.

11. ყალბი ფულის ნიშნებს უტარდება ლაბორატორიული ექსპერტიზა, ხდება მათი კლასიფიკაცია, ბანკნოტებს ესმება შტამპი „ყალბი“ და უკეთდება ანალოგიური შინაარსის პერფორირება, ხოლო მონეტები იხვრიტება. ყალბი ფულის ნიშნები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ინახება საკასო ცენტრის საცავში და აღირიცხება N0927 (ყალბი ფულის ნიშნები) ანგარიშზე.

#### მუხლი 9. ფასეულობის შესანახად მიღება

1. ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის, ხოლო ეროვნული ბანკის ფილიალებში - ფილიალის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შესანახად მიიღება სასამართლო და საგამომიებო ორგანოების მიერ ამოღებული ფასეულობა (დალუქული სახით) წერილობითი მომართვისა და ხელშეკრულების საფუძველზე ბალანსგარეშე ორდერით (დანართი N22), შემოსავლის ორდერი რჩება დღიურ საბუთებში, გასავლის ორდერი ეძლევა ბუღალტერს, ფასეულობის თანხლები იარლიყი ეკვრება ფასეულობიან ამანათს. ფასეულობას თან უნდა ახლდეს შესაბამისი აღწერილობა სახეობის, ნომინალის, ოდენობის, ნომრის ან სხვა რეკვიზიტების მითითებით (ფასეულობა არ უნდა შეიცავდეს რადიოაქტიურ და ტოქსიკურ ნივთიერებებს) შემომტანს ეძლევა ქვითარი (დანართი N23) ფასეულობის უკან მისაღებად. შესანახად

მიღებული ფასეულობა მიეცემა შემომტანი დაწესებულების ხელმძღვანელის მინდობილობის მქონე პირს წარმოდგენილი ქვითრის საფუძველზე გასავლის ორდერით.

2. გაუქმებული ან გამოუყენებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმები (გაცემული ეროვნული ბანკის მიერ) მიიღება მიღება-ჩაბარების აქტით.

3. აღნიშნული ფორმების თავმოყრა და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარი ფორმების განადგურება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში გამანადგურებელი აგრეგატის მეშვეობით, კომისიური წესით, რაზედაც დგება სათანადო აქტი (სადაც მითითებული უნდა იქნეს განადგურების თარიღი, ბლანკების სახეობა, რაოდენობა, ნომრები) დამსწრე პირთა ხელმოწერებით.

მუხლი 10. ნაღდი ფულის გაცემა

1. ეროვნული ბანკიდან გაიცემა მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ ფორმირებული ფული.

2. გასავლის ოპერაციების შესასრულებლად სალაროს პასუხისმგებელი მუშაკი (შემდგომში - სალაროს უფროსი) გასავლის მოლარეს საქვეანგარიშოდ აძლევს ფულს მიღებული და გაცემული ფულის (ფასეულობის) აღრიცხვის წიგნში (დანართი N24) ხელმოწერით. მიღებულ თანხას გასავლის მოლარე ატარებს ამავე ფორმის აღრიცხვის ჟურნალში.

3. კლიენტებისათვის ნაღდი ფულის მიცემა (ანგარიშზე არსებული ნაშთების ფარგლებში) ხდება საფულე ჩეკისა (დანართი N25) და სალაროს გასავლის ჟურნალის (დანართი N16), ხოლო ეროვნული ბანკის თანამშრომლებისათვის და ანგარიშის არმქონე პირებისათვის გასავლის ორდერისა (დანართი N26) და სალაროს გასავლის ჟურნალის საფუძველზე.

4. კლიენტი საფულე ჩეკს წარუდგენს ბუღალტერს, რომელიც სათანადო შემოწმების შემდეგ ხელს აწერს ჩეკს და გადასცემს შესაბამის მაკონტროლებელ მუშაკს. მაკონტროლებელი მუშაკის შემოწმების შემდეგ ბუღალტერი ავსებს სალაროს გასავლის ჟურნალს ორ ეგზემპლარად და ფულის მიღება პირს აძლევს ჩეკის საკონტროლო მარკას სალაროში წარსადგენად, ხოლო საფულე ჩეკსა და ჟურნალის ორივე ეგზემპლარს კურიერის მეშვეობით ან თავად გადასცემს გასავლის მოლარეს.

5. გასავლის მოლარე საფულეს ჩეკისა და სალაროს გასავლის ჟურნალის ორი ეგზემპლარის მიღებისას საფულე ჩეკზე ბუღალტრის ხელმოწერის არსებულ ნიმუშთან შესაბამისობის, საფულე ჩეკში ციფრებითა და სიტყვებით ჩაწერილი თანხების შესატყვისობის შემოწმების შემდეგ გასავლის ჟურნალის ორივე ეგზემპლარზე ხელისმოწერით ადასტურებს საფულე ჩეკის მიღებას და ჟურნალის ერთ ეგზემპლარს უბრუნებს

ბუღალტერს. საფულე ჩეკზე ამოწმებს ფულის მიმღების ხელმოწერას, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებთან შესაბამისობას, ამზადებს გასაცემ თანხას, ჩეკის ნომრის მიხედვით იძახებს ფულის მიმღებს, აზუსტებს მისაღები თანხის ოდენობას, ხელს აწერს ჩეკს და აძლევს მიმღებს ფულს, რის შემდეგაც სალაროს ჟურნალის მასთან არსებულ ეგზემპლარზე ხელმოწერით ადასტურებს თანხის გაცემის ფაქტს და კურიერის მეშვეობით ჟურნალს უბრუნებს ბუღალტერს. გასავლის ჟურნალის ორივე ეგზემპლარი ჩაეკერება ბუღალტერიის დღიურ საბუთებში.

5'. ეროვნული ბანკის თანამშრომლებისა და ანგარიშის არმქონე პირებისათვის თანხების გასაცემად ბუღალტერი ავსებს გასავლის ორდერსა და სალაროს გასავლის ჟურნალს ორ ეგზემპლარად და კურიერის მეშვეობით ან თავად გადასცემს გასავლის მოლარეს, რომელიც შესაბამისი შემოწმების შემდეგ ჟურნალის ორივე ეგზემპლარზე ხელმოწერით ადასტურებს დოკუმენტის მიღებას და ერთ ეგზემპლარს უბრუნებს ბუღალტერს. შემდეგ ამოწმებს ორდერზე ფულის მიმღების ხელმოწერას, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებთან შესაბამისობას, ამზადებს გასაცემ თანხას, ხელს აწერს ორდერს და აძლევს მიმღებს ფულს, რის შემდეგაც სალაროს ჟურნალის მასთან არსებულ ეგზემპლარზე ხელმოწერით ადასტურებს თანხის გაცემის ფაქტს და კურიერის მეშვეობით ჟურნალს უბრუნებს ბუღალტერს. გასავლის ჟურნალის ორივე ეგზემპლარი ჩაეკერება ბუღალტერიის დღიურ საბუთებში.

6. ბანკნოტების გაცემა ხდება სრული და არასრული კონებით, ცალკეული ნეკნებითა და ფურცლებით, ხოლო მონეტების - ტომრებითა და ცალობით.

7. კლიენტის წარმომადგენელი სალაროსთან ამოწმებს სრულ და არასრულ კონებს მათში ნეკნების რაოდენობის მიხედვით, ხოლო შეუფუთავ კონებს, ნეკნებსა და ცალკეულ ბანკნოტებს - ფურცლობრივად, მონეტებს - ტომრების რაოდენობისა და მათ იარლიყებზე ნაჩვენები წარწერების მიხედვით.

8. კლიენტის წარმომადგენელს უფლება აქვს კონებად შეფუთული ბანკნოტები გადათვალოს ფურცლობრივად, ხოლო ტომრებში მოთავსებული მონეტები - ცალობით.

9. მიმღები თანხას გადაითვლის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში საბრუნავი სალაროს პასუხისმგებელი მუშაკის თანდასწრებით.

10. მიმღები ფულის ფურცლობით და ცალობით გადათვლისას ზედა და ქვედა სადებებს, ბანდეროლებს, შესაკრავებს პლომბებითურთ (პოლიეთილენის საფუთავი კლიშეების ანაბეჭდებს) და ტომრების

იარლიყებს ინახავს გადათვლის დამთავრებამდე. დანაკლისის, მეტობის ან სხვა შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დგება სათანადო აქტი.

11. ეროვნული ბანკისაგან მიღებულ ფულში დანაკლისის გამოვლენისას თანხა აუნაზღაურდება მიმღებ კლიენტს, ხოლო ზედმეტობა ჩაირიცხება ეროვნული ბანკის შემოსავლებში. თუ თანხის მიღებისას კომერციული ბანკის წარმომადგენელი ფულს არ გადაითვლის სალაროსთან, მათ პრეტენზიებს დანაკლისის ანაზღაურების შესახებ ეროვნული ბანკი არ მიიღებს.

12. ეროვნული ბანკის თანამშრომლების ხელფასები და მასთან გათანაბრებული გასაცემლები გაიცემა ეროვნული ბანკის შესაბამისი დეპარტამენტის (ფილიალებში - ამ ოპერაციებისათვის პასუხისმგებელი პირის) მიერ წარმოდგენილი პირადი უწყისების, სალაროს გასავლის ორდერისა და გასავლის ჟურნალის საფუძველზე. გასაცემი თანხა სამი სამუშაო დღით საქვეანგარიშოდ ეძლევა სალაროს მუშაკს მიღებული და გაცემული ფულის (ფასეულობის) აღრიცხვის წიგნში ხელმოწერით. მოლარე ბუღალტერს უკან უბრუნებს ხელმოწერილ გასავლის ორდერის მეორე ეგზემპლარს და ჟურნალს, გასავლის ორდერის პირველი პირი რჩება სალაროში. უწყისის ერთი ეგზემპლარი ეძლევა თანამშრომელს, ხოლო მეორე ხელმოწერილი ეგზემპლარი რჩება სალაროში. ავანსის გაცემიდან სამი დღის შემდეგ ავანსის გამოუყენებელი ნაშთი შემოსავლის ორდერთა და წიგნში ხელმოწერით ბარდება სალაროს უფროსს.

მუხლი 11. სხვა ფასეულობის გაცემა

1. სამახსოვრო მონეტებისა და სხვა ნუმიზმატიკური დანიშნულების პროდუქციის გაცემა ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად.

2. ფულის ნიმუშები გაიცემა წერილობითი მომართვისა და გასავლის ორდერის საფუძველზე სათანადოდ შენახვისა და მოთხოვნისთანავე უკან დაბრუნების პირობით.

3. საბანკო ლიცენზიების ფორმები მიეცემა ეროვნული ბანკის შესაბამის თანამშრომელს წარმოდგენილი განცხადებისა და ბალანსგარეშე გასავლის ორდერის საფუძველზე და გადაიტანება N0929 ანგარიშზე, საიდანაც ჩამოიწერება მისგან სათანადო დასტურის მიღების შემდეგ.

4. ჩეკის წიგნაკები და სხვა მკაცრი აღრიცხვის ფორმები გაიცემა სპეციალური ფორმის (დანართი N27) განცხადებისა (დამოწმებული შესაბამისი პასუხისმგებელი მუშაკის მიერ) და ბალანსგარეშე გასავლის ორდერის საფუძველზე ღირებულების გადახდით.

5. ბუღალტერი, წარმოდგენილი განცხადების სისწორის შემოწმების შემდეგ, ავსებს შემოსავლის ორდერს და გადასცემს მოლარეს.

6. მოლარე ბუღალტრის ხელმოწერის შემოწმების შემდეგ დაითვლის შესაბამის თანხას და ხელს აწერს შემოსავლის ორდერს. შემოსავლის ორდერის ერთი პირი რჩება მოლარესთან, ხოლო მეორე - გადაეცემა შემომტანს.

7. გასავლის ორდერი დგება 2 პირად, რომელთაგან 1 რჩება სალაროს დღიურ საბუთებში, მეორე - გადაეცემა ბუღალტერს.

8. კლიენტის მიერ წარმოდგენილი შემოსავლის ორდერის, განცხადებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შემოწმების შემდეგ მოლარე იტოვებს განცხადებას და მისი რეგისტრაციის შემდეგ გასცემს მკაცრი აღრიცხვის ბლანკებს და ტალონს.

9. უნაღდო ანგარიშსწორებით ფასეულობა გაიცემა სათანადოდ დამოწმებული გადარიცხვის ფურცლის, განაცხადისა და გარეგანსაშუალო გასავლის ორდერის საფუძველზე.

#### **თავი IV. ეროვნული ბანკის სისტემაში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის შენახვა**

##### **მუხლი 12. საბრუნავი სალაროს დასკვნა**

1. საბრუნავი სალაროს მოლარეები დღის ბოლოს ადგენენ დღის განმავლობაში მიღებული და გაცემული ფულის შესახებ ცნობებს (დანართები NN28,29) პასუხისმგებელი შემსრულებელი პირების ხელმოწერებით. აღნიშნულ ცნობებთან ერთად არსებული ფულის ნაშთი ბარდება სალაროს უფროსს.

2. სალაროს უფროსი მოლარეებისაგან მიღებული ცნობების სისწორის შემოწმების შემდეგ ითვლის ნაღდ ფულს, რომელსაც აღრიცხავს მიღებული და გაცემული ფულის (ფასეულობის) აღრიცხვის წიგნში და ადგენს ნაერთ ცნობას (დანართი N30), რომელსაც საბუღალტრო მონაცემებთან შედარების შემდეგ ხელს აწერს შესაბამისი პასუხისმგებელი მუშაკი. აღნიშნული ცნობები სალაროს უფროსის ხელმოწერის შემდეგ ინახება სალაროს დღიურ დოკუმენტებთან ერთად. დღიური დოკუმენტების თანხობრივ მონაცემებს გამოითვლის სალაროს უფროსი გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებით და ადასტურებს ხელმოწერით.

3. სალაროს დღიური ბრუნვების შემოწმების შემდეგ სალაროს უფროსი ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის აღრიცხვის წიგნში (დანართი N31) წერს შემოსავლებისა და გასავლის საერთო თანხას, მეორე დღისათვის გამოყავს საბრუნავ სალაროში ნაღდი ფულის, აგრეთვე სხვა ფასეულობის ნაშთი ანგარიშების მიხედვით, ნაღდი ფულის საერთო თანხა კუპიურების მიხედვით, შეაქვს კუპიურული აღრიცხვის წიგნში (დანართი N32).

უცხოური ვალუტა და საგადამხდელო დოკუმენტები უცხოური ვალუტით შეიძლება აღირიცხოს ცალკე წიგნებში. ყველა წიგნი დასტურდება ფასეულობის შენახვისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებით. მინაწერები და შესწორებები წიგნებში მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად უნდა დაამოწმოს საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელმა.

4. საბრუნავ სალაროში დარჩენილ ფულის ნაშთსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის სხვაობის შემთხვევაში, სხვაობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევისა და სალაროში გამოვლენილი მეტობის ან ნაკლებობის დადასტურების შემდეგ დგება აქტი სამივე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით.

5. სალაროს გამოყვანის შემდეგ სალაროს დღიური დოკუმენტები დანართებითურთ და გამოთვლის ლენტებთან ერთად უნდა გაფორმდეს ცალკე საქაღალდეში არა უგვიანეს მეორე დღისა. საქაღალდის გარე ყდაზე ეწებება იარლიყი.

6. დოკუმენტების მონაცემები უნდა შეუდარდეს საბუღალტრო აღრიცხვის (ბალანსის) მონაცემებს არა უგვიანეს მეორე დღისა და დამოწმდეს მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით.

7. სალაროს წინა და მიმდინარე წლის დოკუმენტები, აგრეთვე სხვა სახის შესანახი საბუთები სალაროს უფროსის პასუხისმგებლობით ინახება საბრუნავი სალაროს საცავში.

8. ცნობები სალაროს დოკუმენტების შესახებ მოთხოვნებისამებრ გაიცემა საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელის ნებართვით.

9. საბრუნავი სალაროდან სალაროს დოკუმენტების გატანა ხდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის წერილობითი ნებართვით.

მუხლი 13. საცავებსა და სალაროებში ნაღდი ფულისა და ფასეულობის შენახვა

1. ფასეულობის საცავების გასაღებები ინახება ფასეულობის შენახვისათვის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან.

2. სარეზერვო ფონდებსა და საბრუნავ სალაროში არსებული ყველა ფული და სხვა ფასეულობა უნდა ინახებოდეს დანომრილ ფულის საცავებში. საცავებში ფული ინახება ლითონის თაროებზე ან კარადებში, რომელებსაც გასაღებით კეტავს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი. საბრუნავ სალაროში ნაღდი ფული შეიძლება ინახებოდეს ურიკებში, რომლებიც უნდა დაიკეტოს გასაღებით და დაილუქოს მოლარის ლუქით. ყველა ურიკას უნდა ჰქონდეს იარლიყი, რომელშიც უნდა მიეთითოს თარიღი,

მოლარის სახელობითი შტამში, ხელის მოწერა და ურიკაში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა, დადასტურებული სალაროს უფროსის ხელმოწერით.

3. სამუშაო დღის განმავლობაში ფასეულობის საცავები შეიძლება არ დაილუქოს, თუ დაცვითი სიგნალიზაცია ბარდება ცენტრალიზებული დაცვის პულტს, რომელიც გამართულია ელექტროგამომთვლელი ტექნიკის ბაზაზე და მუშაობს სადღეღამისო რეჟიმით.

4. ფასეულობის საცავებს უნდა ჰქონდეს გასაღებების დუბლიკატები, რომელიც სათანადო აღწერილობის (გასაღებების ნომრების, რაოდენობის, მფლობელის და ა.შ. მითითებით) თანხლებით იდება პაკეტში, პაკეტს გარს ეკვრება ქსოვილი, რომელსაც ლუქავენ ფასეულობის შენახვისათვის პასუხისმგებელი პირები.

5. გასაღებების დუბლიკატების პაკეტი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის (ეროვნული ბანკის ფილიალებში - ფილიალის ხელმძღვანელის) გადაწყვეტილებით, შესანახად ბარდება სხვა საბანკო დაწესებულებას. გასაღებთა დუბლიკატებიანი პაკეტის საბანკო დაწესებულებებიდან გამოტანა ხდება ფასეულობის შენახვისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირების მიერ ხელმოწერილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სათანადო აქტის შედგენით.

6. სალაროს მუშაკთათვის ფასეულობის შესანახად განკუთვნილი ლითონის კარადების, ბუნკერების, სეიფების, ურიკების ან სამუშაოდ გამოუყენებელი და დაზიანებული შენახვის საშუალებათა სათადარიგო გასაღებების შეფუთული პაკეტი, ფასეულობის დაცვისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირების მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, აღწერილობის თანხლებით ინახება ფასეულობის საცავში.

7. ფასეულობათა დაცვისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირებისა და სალაროს თანამშრომელთათვის გამოყოფილი შენახვის საშუალებების - გასაღებების, აგრეთვე ბეჭდების, პლომბების, კლიშეების, სახელობითი ან სხვა შტამპების შენახვის პირობები უნდა გამორიცხავდეს სხვა პირთა მიერ მათ გამოყენებას.

8. განგამის, ხანძრის ან სხვა შემთხვევებში, როდესაც არ ხერხდება სამივე პასუხისმგებელი პირის მონახვა, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, სათადარიგო გასაღებების გამოყენებით, შეიძლება საცავების გახსნა საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის, დაცვის პოლიციის წარმომადგენლისა და ერთ-ერთი მატერიალური პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით (ფილიალებში -

ფილიალის ხელმძღვანელის, დაცვის პოლიციის წარმომადგენლისა და სულ ცოტა ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით).

9. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ლუქის ბეჭდების ხელმოწერილი ნიმუშები უნდა ინახებოდეს დაცვის წარმომადგენელთან.

10. ფასეულობის საცავების გახსნის წინ მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირები დაცვის წარმომადგენლის თანდასწრებით ამოწმებენ კარის, საკეტების, ლუქის სიმართელეს, რის შემდეგაც ხელს აწერენ ფასეულობის საცავის დასაცავად მიღებისა და ჩაბარების საკონტროლო ქურნალში. მათი დაზიანების შემთხვევაში საცავის კარების გახსნასა და საცავში არსებული ფასეულობის გადათვლას მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ახდენენ საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელის, დაცვის პოლიციის წარმომადგენლისა და სხვა არამატერიალურად პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით, რაზედაც დგება შესაბამისი აქტი და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას.

11. საკასო ოპერაციების შესრულებისას არ შეიძლება გასაღებების ჩატოვება საცავის კარში, სეიფებში, ლითონის კარადებში, ურიკებსა და ბუნკერებში.

12. საცავებში ვარგისი და უვარგისი ფულის ნიშნები უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე.

13. ეროვნული და უცხოური ვალუტა, საგადამხდელო დოკუმენტები და სხვა ფასეულობა ინახება ცალ-ცალკე.

14. ბანკნოტები ინახება კონებად ნომინალების მიხედვით, მონეტები - ტომრებში ღირებულებების მიხედვით, ფასიანი ქაღალდები, ბლანკები - კონებად და ნეკნებად შეფუთული სახეობის, გამოშვების წლისა და ღირებულებების მიხედვით.

15. ძვირფასი ლითონები და სხვა მსგავსი ფასეულობა ინახება განცალკევებით.

16. დალუქული ფასეულობა (პაკეტი, ყუთი და სხვა) ინომრება შემოტანის თარიღის მიხედვით რიგითი ნომრით. თითოეულ ფასეულობას უნდა ჰქონდეს სათანადო აღწერილობა და შესაბამისი ორდერი პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებით.

17. ეროვნული ვალუტის ბანკნოტები და მონეტები სარეზერვო ფონდებში აღირიცხება სარეზერვო ფონდების აღრიცხვის წიგნში (დანართი N33).

18. სამუშაო დღის ბოლოს ფასეულობის საცავის დაკეტვამდე მეორე დღის დასაწყისისათვის დარჩენილი ფასეულობა ჩაიწერება სარეზერვო

ფონდების აღრიცხვის წიგნში ცალკეული ანგარიშის მიხედვით. წიგნში შეტანილი ჩანაწერების სისწორე ყოველდღიურად დასტურდება ფასეულობის შენახვისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა ხელმოწერებით. მინაწერები და შესწორებები წიგნში უნდა დაამოწმოს საკასო ცენტრის (ეროვნული ბანკის ფილიალის) ხელმძღვანელმა და სამივე მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა.

19. დღის განმავლობაში წიგნი ინახება ერთ-ერთ მატერიალურად პასუხისმგებელ მუშაკთან, დღის დამთავრების შემდეგ - ფასეულობის საცავში.

20. საცავის დაკეტვამდე ფასეულობის შენახვისათვის პასუხისმგებელი პირები ამოწმებენ, შეტანილია თუ არა საცავში ყველა ფასეულობა, წიგნი და დოკუმენტი, შეესაბამება თუ არა ფაქტობრივად არსებული ფასეულობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ფასეულობის აღრიცხვის წიგნში მითითებულ ნაშთს. ფასეულობის აღრიცხვის წიგნში მითითებულ ფასეულობის ნაშთს ბუღალტერი უდარებს საბუღალტრო აღრიცხვის შესაბამისი ანგარიშების მონაცემებს, ამოწმებს დაკეტილია თუ არა გასაღებებით ყველა ლითონის კარადა, ბუნკერი, სეიფი, ურიკა, მათში ფასეულობის არარსებობის მიუხედავად.

21. საცავებში ფულის ყოველი შეტანის ან გამოტანის შემდეგ მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან შეამოწმონ საცავებში დარჩენილი ფასეულობის შესაბამისობა სალაროს აღრიცხვის მონაცემებთან.

22. საცავს კეტავენ ფასეულობის დაცვისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირები და ლუქავენ თავიანთი ლუქის ბეჭდებით.

23. დალუქული საცავი საკონტროლო ჟურნალში (დანართი 34) ხელმოწერით ბარდება დაცვის წარმომადგენელს. საკონტროლო ჟურნალი ინახება სალაროს უფროსთან.

13 (1) ეროვნული ბანკის სისტემაში საექსპონატო და ნუმიზმატიკური დანიშნულების ფასეულობის აღრიცხვის წესი

1. საექსპონატოდ შესაჩიხი (შემდგომში - საექსპონატო ფასეულობა), ნუმიზმატიკური დანიშნულების ფულის ნიშნებისა და სამახსოვრო მონეტების (შემდგომში - ნუმიზმატიკური დანიშნულების ფასეულობა) რაოდენობა დგინდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

2. საექსპონატოდ შენახული ფულის ნიშნები და სამახსოვრო მონეტები აღრიცხება რაოდენობით N0921 (საექსპონატო ფასეულობა) ანგარიშზე.

3. ნუმისმატიკური დანიშნულების მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები რეალიზაციამდე ეროვნული ბანკის სათავო ოფისში აღირიცხება ნომინალური ღირებულებით N0106 (ნუმისმატიკური დანიშნულების სარეალიზაციო ბანკნოტები) და N0107 (ნუმისმატიკური დანიშნულების სარეალიზაციო მონეტები), ხოლო ეროვნული ბანკის ფილიალებში – N0116 (ნუმისმატიკური დანიშნულების ბანკნოტები) და N0117 (ნუმისმატიკური დანიშნულების მონეტები) ანგარიშებზე.

4. ნუმისმატიკური დანიშნულების მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნები და სამახსოვრო მონეტები რეალიზაციამდე ეროვნული ბანკის სისტემაში აღირიცხება რაოდენობით N0926 (ნუმისმატიკური დანიშნულების ფასეულობები) ანგარიშზე.

5. საექსპონატო და ნუმისმატიკური დანიშნულების ფასეულობის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს გამოშვების წლებისა და ნომინალების (ბანკნოტები – დამატებით სერიული ნომრების) მიხედვით.

6. ნუმისმატიკური დანიშნულების ფასეულობის რეალიზაცია ეროვნული ბანკის სათავო ოფისში ხორციელდება ფულის მუზეუმის, ხოლო რეგიონებში - ეროვნული ბანკის ფილიალების მეშვეობით.

7. ნუმისმატიკური დანიშნულების სარეალიზაციო ფასეულობა ფულის მუზეუმს გადაეცემა საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსის ნებართვით, ხოლო ეროვნული ბანკის ფილიალებს - მათი მოთხოვნის საფუძველზე, სარეზერვო ფონდების ნაღდი ფულით მომარაგებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

8. სარეალიზაციოდ გადაცემული ნუმისმატიკური დანიშნულების მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები აისახება N0108 (სარეალიზაციოდ გადაცემული ნუმისმატიკური ბანკნოტები და მონეტები), ხოლო მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნები და სამახსოვრო მონეტები – N0924 (სარეალიზაციოდ გადაცემული ნუმისმატიკური დანიშნულების ბანკნოტები და მონეტები) ანგარიშზე. ფულის მუზეუმისათვის სარეალიზაციოდ გადაცემული ნუმისმატიკური დანიშნულების ფასეულობა აღირიცხება სალაროს წიგნში.

9. რეალიზებული მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნების ნომინალური ღირებულება ემატება მიმოქცევაში არსებულ ნაღდ ფულს. ფულის მუზეუმის მიერ რეალიზებული ფულის ნიშნები ნომინალური ღირებულებით ჩამოიწერება N0108, ხოლო ფილიალების მიერ რეალიზებული ფულის ნიშნები – NN0116, 0117 ანგარიშებიდან და აღირიცხება შესაბამისად N3001 (მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები) და N3002 (მიმოქცევაში გაშვებული მონეტები) ანგარიშებზე. სხვაობა სარეალიზაციო ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება ბანკის

შემოსავლებში N7063 (შემოსავლები ძვირფასი ლითონების, ხელოვნების ნაწარმოებებისა და საკოლექციო საგნები გასვლიდან და გადაფასებიდან) ანგარიშზე.

10. მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნებისა და სამახსოვრო მონეტების ფულის მუზეუმის მიერ რეალიზების შემდეგ ჩამოეწერება N0924, ხოლო ეროვნული ბანკის ფილიალში – N0926 ანგარიშებიდან და მათი ღირებულება აღირიცხება ბანკის შემოსავლებში N7063 ანგარიშზე.

11. ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებში მითითებული ოპერაციების შესრულების მიზნით ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ფულის მუზეუმის ბუღალტერი გამოწერს მემორიალურ ორდერებს და შესაბამის ცნობასთან ერთად გადასცემს საკასო ცენტრის ბუღალტერს, რომელიც შესაბამისი შემოწმების შემდეგ ხელმოწერით ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეს და ახორციელებს ზემოაღნიშნული ბუღალტრული ოპერაციების შესრულებას. ეროვნული ბანკის ფილიალებში ამ ოპერაციებს ასრულებს შესაბამისი პასუხისმგებელი მუშაკი.

12. ყოველი სამუშაო კვირის ბოლოს საკასო ცენტრისა და ეროვნული ბანკის ფილიალების მიერ ნუმიზმატიკური დანიშნულების ფასეულობის ფაქტობრივი ნაშთისა და რეალიზაციის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის ნაღდი ფულის მიმოქცევისა და მეთოდოლოგიის განყოფილებას.

## **თავი V. ეროვნული ბანკის სისტემაში საკასო-საემისიო ოპერაციების წარმოების შემოწმება**

### **მუხლი 14. ზოგადი წესი**

1. საკასო ცენტრსა და ეროვნული ბანკის ფილიალებში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის, მათი შენახვის მდგომარეობისა და საკასო-საემისიო ოპერაციების წარმოების შემოწმებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი ან შიდააუდიტორული სამსახური დადგენილი წესით ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ხოლო ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის ნატურის შემოწმებას - საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელი სულ ცოტა თვეში ერთხელ.

2. შემოწმება ხორციელდება ფასეულობათა შენახვისათვის მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა თანდასწრებით. მატერიალურად პასუხისმგებელი პირის არყოფნისას საცავის გახსნა და ფასეულობის შემოწმება წარმოებს მის გარეშე, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის

ნებართვით სათადარიგო გასაღებების გამოყენებით, რაც დასტურდება აქტში ყველა მონაწილის ხელის მოწერით.

3. შემოწმებამ არ უნდა დაარღვიოს ეროვნულ ბანკში საკასო ოპერაციების წარმოების ჩვეულებრივი მსვლელობა.

4. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის შემოწმება უნდა მოეწყოს მოულოდნელად, შემოწმდეს ყველა ფასეულობა ერთი და იგივე თარიღის მდგომარეობით და ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოირიცხოს შემოწმებისათვის დატაცებისა და დანაკლისების გადამალვის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად შეუძლებელია ყველა ფასეულობის შემოწმება, შემოწმების ხელმძღვანელი ფულისა და ფასეულობის დაცვისათვის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად ლუქავს საცავებს და აბარებს მათ დაცვას დადგენილი წესით.

5. შემოწმების შედეგების შესახებ დგება აქტი 2 ცალად, რომელსაც ხელს აწერს შემოწმების მონაწილე ყველა მუშაკი. აქტის ერთი პირი რჩება ადგილზე, მეორე – ეძლევა შემოწმებელს.

6. საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ჩატარებული შემოწმების მასალებს განიხილავს სამ დღეში, აგზავნის გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის წერილობით მითითებას და აწესებს მისი დროულად შესრულების კონტროლს.

მუხლი 15. საცავებსა და სალაროებში არსებული ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობათა შემოწმება

1. საცავებიდან საკონტროლოდ გადასათვლელად ფულის (ფასეულობის) გამოტანა და უკან შეტანა ფიქსირდება სპეციალურ აღრიცხვის დავთარში (დანართი N35) პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებით.

2. ფულის ნიშნებისა და სხვა ფასეულობათა ნატურის შემოწმება წარმოებს შემდეგი წესით:

ა) საცავებში არსებული ფულის ნიშნები ჯერ მოწმდება კონებისა და ნეკნების მიხედვით, ხოლო მონეტები - ტომრებზე მიმაგრებულ იარლიყებზე გაკეთებული წარწერების მიხედვით და მთლიანი ფულის მასა უდარდება სალაროს წიგნების მონაცემებს; შემდეგ შემოწმებული შეხედულებისამებრ (სრულად ან ნაწილობრივ) გადაითვლის ბანკნოტებსა და მონეტებს ფურცლობრივად და ცალობით. შეფუთულ კონებში დანაკლისის ან ზედმეტობის აღმოჩენის შემთხვევაში მფორმირებელი მოლარის ყველა კონა უნდა გადაითვალოს ფურცლობრივად. სალაროებში არსებული ფულის ნიშნები მოწმდება კონების და ნეკნების მიხედვით, ხოლო მონეტები - ტომრებზე მიმაგრებულ იარლიყებზე გაკეთებული

წარწერების მიხედვით და ფულის მთლიანი მასა უდარდება მიღებული და გაცემული ფულის აღრიცხვის წიგნისა და სალაროს საბუთების მონაცემებს; ასეთი შემოწმების შემდეგ საბრუნავ სალაროში არსებული ბანკნოტები გადაითვლება ფურცლობრივად, ხოლო მონეტები – ცალობით;

ბ) მკაცრი აღრიცხვის ბლანკები გადაითვლება კონობით, ხოლო გახსნილი კონები – ცალობით;

გ) ყველა დანარჩენი ფასეულობა მოწმდება მათი ნომინალური ან პირობითი შეფასებით;

დ) დალუქული ფასეულობა მოწმდება მიღების, გაფორმებისა და შეფუთვის სისწორის, შენახვის პირობებისა და უსაფრთხოების მიხედვით.

3. ბანკნოტების, მონეტებისა და სხვა ფასეულობათა გადათვლის შემდეგ ფაქტობრივად აღმოჩენილი ფასეულობა უდარდება ნაღდი ფულისა და ფასეულობის აღრიცხვის წიგნებს, ყოველდღიური ბალანსისა და ანალიზური აღრიცხვის, აგრეთვე, საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტში წარმოდგენილ მონაცემებს. გარდა ამისა, მოწმდება დაბრუნებულია თუ არა საცავებში შემოწმებისათვის ამოღებული ყველა ფასეულობა (რაც აისახება აქტში). შემოწმების შემდეგ აღნიშნული მონაცემები უდარდება ეროვნული ბანკის ცენტრალურ ბუღალტერიაში მიღებულ ბალანსს.

4. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფულისა და ფასეულობათა შენახვის უზრუნველყოფის საკითხებს, საკასო ოპერაციების წარმოების წესების დაცვას.

## **თავი VI. პასუხისმგებლობა**

მუხლი 16. ეროვნული ბანკის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა

1. ეროვნული ბანკის საკასო ცენტრისა და ფილიალის ხელმძღვანელები და მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან აწარმოონ საკასო-საემისიო ოპერაციების წარმოების, მიღებული თანხების შემოსავალში თავისდროულად აღრიცხვისა და საბრუნავი სალაროდან ლიმიტს ზევით არსებული თანხების სარეზერვო ფონდებში გადატანის, აგრეთვე ეროვნულ ბანკში ნაღდი ფულთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად წარმოდგენისა და სისწორის კონტროლი.

2. პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკიდან საემისიო ნებართვის გარეშე მიმოქცევაში ფულის გაშვებისათვის ეკისრებათ ეროვნული ბანკის საკასო ცენტრისა და ფილიალის ხელმძღვანელსა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

3. მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, სოლიდალურად აგებენ პასუხს მათთვის მინდობილ ფასეულობათა შენახვისათვის.

4. სალაროს მუშაკებს კატეგორიულად ეკრძალებათ:

ა) მათთვის მინდობილ ფასეულობასთან დაკავშირებული სამუშაოები გადააბარონ სხვა პირებს;

ბ) უშუალოდ შეასრულონ კლიენტის მიერ ნაღდი ფულის მიღების ან ეროვნულ ბანკში მათ ანგარიშებზე შეტანის დავალებები, აგრეთვე მიიღონ უშუალოდ მათგან დოკუმენტები ფულის შეტანისა და ფულის მიღების შესახებ ბუღალტრის გვერდის ავლით;

გ) შეინახონ თავიანთი ფული ან სხვა ფასეულობა ეროვნული ბანკის ფულსა და ფასეულობასთან ერთად.

5. სალაროს მუშაკებს ეკისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მათ მიერ ფორმირებულ ფულის კონებში, ნეკნებსა და სხვა შეფუთვაში ფასეულობათა დანაკლისებისათვის, აგრეთვე ყალბი ან არგადახდითი ბანკნოტებისა და მონეტების აღმოჩენისა და მუშაობაში არსებული სხვა ნაკლოვანებებისათვის, რამაც მატერიალური ზარალი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს ეროვნულ ბანკს (ბრიგადული პასუხისმგებლობის შემთხვევაში სალაროს მუშაკები სოლიდალურად აგებენ პასუხს მათ მიერ შეფუთულ ფულსა და ფასეულობაში გამოვლენილი ნაკლოვანებებისათვის).

6. იმ შემთხვევაში, თუ სალაროს მუშაკი იძულებულია, მოულოდნელად დატოვოს სამუშაო ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო, მასთან საქვეანგარიშოდ არსებულ ფასეულობას სალაროს უფროსი დაუყოვნებლივ ათავსებს ცალკე ფულის საცავში, რასაც უნდა ესწრებოდეს საკასო ცენტრის ან ფილიალის ხელმძღვანელი და მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირები. ამ ფასეულობათა მეორე მოლარისათვის გადაცემისას, ისინი უნდა გადაითვალონ ზემოაღნიშნულ პირთა თანდასწრებით. ფასეულობების ცალკე საცავში მოთავსებისა და გადათვლის შედეგების შესახებ დგება აქტი.

7. მატერიალური ზარალის, დანაკლისების ან ყალბი ფულის ღირებულების ანაზღაურების შემთხვევაშიც, მუშაკები, რომელთა მიზეზითაც მოხდა აღნიშნული, არ თავისუფლდებიან დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 17. დანაკლისის, დატაცების, გაფლანგვის და სხვა მსგავსი დარღვევების შემთხვევაში რეაგირება

1. დანაკლისის ან ზედმეტობის აღმოჩენის შემთხვევაში დგება აქტი სამ პირად, რომელთაგან პირველი პირი რჩება სალაროს ორდერთან ერთად, მეორე - თავსდება მოლარეების მუშაობის შესახებ სპეციალურ საქმეში, ხოლო მესამე - ეგზავნება ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობას. აღნიშნულ აქტებს ხელს აწერენ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, აგრეთვე მოლარე, რომელსაც აღმოაჩნდა ფასეულობის დანაკლისი ან ზედმეტობა. ხელის არმოწერის შემთხვევაში აქტზე კეთდება განცხადება აღნიშნულის შესახებ. საქართველოს ეროვნულ ბანკში გასაგზავნ აქტს თან ერთვის დანაკლისის დამშვები სალაროს მუშაკის პირადი განმარტება, აგრეთვე ფილიალის მმართველის შეტყობინება ეროვნული ბანკისათვის მიყენებული ზარალის გადახდისათვის, ფულის გადაყოლებისა და ფასეულობათა დანაკლისის წარმოშობის მიზეზების აღმოფხვრისათვის მიღებული ზომების შესახებ.

2. აღმოჩენილი ფულის ზედმეტობა აიღება სალაროს შემოსავალში და მიეკუთვნება N7064 ანგარიშს.

3. ფულის ყველა დანაკლისი, თანხის ოდენობის მიუხედავად, ჩამოიწერება სალაროს გასავალში და დაეწერება N2501 ან N2511 ანგარიშზე მუშაკს, რომელსაც აღმოაჩნდა დანაკლისი, და ირიცხება ამ ანგარიშზე მის მთლიანად დაფარვამდე.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ფულისა და ფასეულობების დანაკლისი გაფლანგვის, დატაცებისა ან სხვა მსგავსი დარღვევების შედეგია, ხელმძღვანელი დაუყოვნებლივ აცნობებს საგამოძიებო ორგანოებს და საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე დროებით ჩამოაშორებს სამუშაოს ეროვნული ბანკის იმ თანამშრომელს, რომელსაც აღმოაჩნდა დანაკლისი.

5. ეროვნული ბანკის სისტემაში დატაცების, გაფლანგვის ან სხვა მსგავსი დარღვევების ყოველი შემთხვევის შესახებ (თანხის ოდენობის მიუხედავად) დაუყოვნებლივ დგება აქტი ორ პირად, რომელსაც ხელს აწერენ ფასეულობისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები და, ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ, ესწრებიან სხვა მუშაკები. აქტის პირველი პირი ეგზავნება საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს, ხოლო მეორე – ინახება ადგილზე საქმეში. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას იმავე დღეს უნდა გაეგზავნოს სპეციალური შეტყობინება დატაცების, გაფლანგვის ან სხვა მსგავსი სახის დარღვევის გარემოების დაწვრილებითი აღწერით. შეტყობინებას ხელს აწერენ ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ან ფილიალის ხელმძღვანელი და

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს:

ა) ეროვნული ბანკის ფილიალის დასახელება, სადაც მოხდა გაფლანგვა, დატაცება ან სხვა მსგავსი დარღვევა;

ბ) აქტი დანაკლისის შესახებ;

გ) შემთხვევის თარიღი;

დ) შემთხვევის გამოვლენის თარიღი;

ე) შემთხვევის ხასიათი (გაფლანგვა, დატაცება, გამარცვა, სიყალბე);

ვ) ეროვნული ბანკისათვის მიყენებული ზარალის ოდენობა;

ზ) თუ ვინაობის დადგენა შესაძლებელია, გაფლანგვის, დატაცების ან სხვა მსგავსი დარღვევის ჩამდენი პირის თანამდებობა, გვარი და სახელი;

თ) რა დროიდან მუშაობდა ეს პირი ეროვნულ ბანკში (თუ იგი ითვლება ბანკის მუშაკად);

ი) ვითარება, რომელშიც მოხდა გაფლანგვა, დატაცება ან სხვა მსგავსი დარღვევა;

კ) ამ პირის მოსაძებნად, დასაკავებლად და ეროვნული ბანკის ინტერესების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

ლ) ზარალის დასაფარავად შემოსული თანხები.

6. ფულისა და ფასეულობათა დანაკლისის, გაფლანგვის, დატაცების და სხვა მსგავსი დარღვევის აღმოჩენისას ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ან ფილიალის ხელმძღვანელი ვალდებულია საფუძვლიანად გამოარკვიოს ამის მიზეზი, განიხილოს პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და მიიღოს ზომები სალაროს უბანზე საჭირო წესრიგის დასამყარებლად.

7. როგორც წესი, ეროვნული ბანკისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის დავალიანების გადახდაში არავითარი განვადება არ დაიშვება. საჭიროების შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა მოვალის ქონებას წესისამებრ დაედოს ყადაღა.

8. დანაკლისის დაუყოვნებლივ გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა დამრღვევ მუშაკს ჩამოართმევს დანიშნულ ვადაში ეროვნული ბანკისათვის მიყენებული

ზარალის ანაზღაურების შესახებ ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება ინახება დანაკლისი თანხის მთლიანად დაფარვამდე.

9. სალაროს მუშაკის მიერ დატაცების, ყალბი ფულის გამოცვლის ან სხვა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ყველა მის მიერ შეფუთული ფულის ნიშანი და ფასეულობა უნდა გადაითვალოს ფურცლობრივად და ცალობით.

10. ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი ეროვნული ბანკის სისტემაში ფასეულობების დანაკლისის, გაფლანგვის, დატაცებისა და სხვა დარღვევების შესახებ აქტის მიღებისთანავე ვალდებულია დაუყოვნებლივ განიხილოს აღნიშნულ საკითხზე შემოსული ყველა მასალა და განსაზღვროს საკმარისია თუ არა ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ან ფილიალის ხელმძღვანელის მიერ მიღებული ზომები სალაროს უბნის მოსაწესრიგებლად და ეროვნული ბანკისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის დამრღვევი პირისათვის გადასახდევინებლად. საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა იღებს დამატებით ზომებს, რათა ანაზღაურდეს ეროვნული ბანკისათვის მიყენებული ზარალი, დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს ბანკის მუშაობა, გამკაცრდეს ფასეულობათა შენახვის კონტროლი და დადგეს დამრღვევ მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხი.

11. გადაყოლების, დანაკლისის, დატაცების, გაფლანგვისა და სხვა დარღვევათა შესახებ საქმეები ინახება ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტში.

12. ეროვნული ბანკის სისტემაში დანაკლისის, დატაცების, გაფლანგვისა და სხვა დარღვევების შესახებ შეტყობინებები, წერილები ინომრება და ინახება კარტოთეკაში ან ცალკე საქმეში.

13. საკასო ცენტრის (ფილიალის) ხელმძღვანელს ევალება თითოეული საქმისათვის თვალყურის დევნება ეროვნული ბანკისათვის მიყენებული ზარალის მთლიანად დაფარვამდე.

14. დანაკლისის, დატაცების, გაფლანგვისა და სხვა დარღვევების შესახებ ყველა მიმოწერა ბარდება არქივს მხოლოდ დავალიანების მთლიანად დაფარვის ან ვალის ეროვნული ბანკის ბალანსიდან ჩამოწერის შემდეგ.

**თავი VII. ეროვნული ბანკის სისტემაში სპეციალური გადაზიდვების (ინკასაციის) ოპერაციების წარმოების წესი**

მუხლი 18. ზოგადი წესები

1. ეროვნული ბანკის სისტემაში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის (შემდგომში – ფასეულობა) გადაზიდვების ოპერაციებს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის საკასო ცენტრი.

2. საკასო ცენტრში აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად დაიშვებიან პირები (შემდგომში – „ინკასატორები“), რომლებსაც გავლილი აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახური, შემოწმება შინაგან საქმეთა ორგანოებში და აქვთ სათანადო ჯანმრთელობა.

3. ინკასატორები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციალური აღჭურვილობით – ჯავშანჭილექტებით, ცეცხლსასროლი იარაღით (საბრძოლო მასალით) და სატელეფონო კავშირით.

4. ფასეულობის გადაზიდვების ოპერაციები სრულდება სპეციალური ნიშნებით, მაშუქი და ხმოვანი სასიგნალო საშუალებებით, ინკასატორთა უსაფრთხოებისა და გადასატანი ფასეულობის დაცვის საშუალებებით აღჭურვილი დაჯავშნული ავტოტრანსპორტით.

5. ინკასატორებსა და ფასეულობის გადაზიდვისათვის პასუხისმგებელ სხვა მუშაკებთან ფორმდება ხელშეკრულება (დანართი N36) სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 19. ფასეულობის გადაზიდვების ოპერაციების შესრულების წესი

1. საკასო ცენტრის მიერ ფასეულობის გადაზიდვების ოპერაციები ხორციელდება ეროვნული ბანკის კურატორი ვიცე-პრეზიდენტისა და საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსის შესაბამისი დავალების საფუძველზე.

2. ფასეულობის გადაზიდვის პირობების, მისი მოცულობის, აგრეთვე ტრანსპორტის სახეობის გათვალისწინებით განისაზღვრება ინკასატორთა რაოდენობრივი შემადგენლობა. ფასეულობის სვლაგეზი ინკასატორებს ეცნობებათ ოპერაციის შესრულების დღეს.

3. ფასეულობის გადაზიდვების ოპერაციების განხორციელებამდე ინკასატორებს უტარდებათ დავალების შესრულების ინსტრუქტაჟი. ერთ-ერთი ინკასატორი ინიშნება უფროსად (შემდგომში - უფროსი ინკასატორი), რომელიც უზრუნველყოფს ფასეულობის გადასაზიდად ინკასატორთა ბრიგადის მუშაობის ორგანიზებულად წარმართვას.

მუხლი 20. ინკასატორების მიერ გადასაზიდი ფასეულობის მიღების წესი

1. ეროვნული ბანკის სათავო ოფისიდან ფასეულობის გადაზიდვისათვის დავალების მიღების შემდეგ შეირჩევა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაც ინკასატორთა გვარების ჩვენებით ფიქსირდება დავალების უკანა მხარეს.

2. ეროვნული ბანკის სისტემაში ფასეულობის გადაზიდვების შემთხვევაში ინკასატორებს ეძლევათ „საქართველოს ეროვნულ ბანკს დაქვემდებარებულ ფილიალებში თანამშრომელთა მივლინების კონფიდენციალურობის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 30 ნოემბრის N295 ბრძანებით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის სამივლინებო მოწმობა, ხოლო ფასეულობის მისაღებად უფროს ინკასატორს დამატებით მიეცემა ერთჯერადი მინდობილობა (დანართი N37).

3. ეროვნული ბანკის სათავო ოფისში ფასეულობის გადმოზიდვა ხორციელდება ანალოგიური წესით.

4. ინკასატორების მიერ ბანკნოტები მიიღება ცალკეული ნომინალის როგორც სრული, ისე არასრული კონების მიხედვით. მიღებისას მოწმდება კონების შეფუთვის სისწორე და მთლიანობა, თითოეულ კონაში ნეკნების რაოდენობა, ზედნადებებში მითითებული თანხების სისწორე, მათზე პლომბის მთელი და მკაფიო ანაბეჭდების არსებობა, ცელოფნით შეფუთული კონების შემთხვევაში – კლიშეს არსებობა. ერთი ღირებულების ბანკნოტების არასრული კონები მიიღება ნეკნებისა და ზედნადებებზე არსებული წარწერების შემოწმებით, ხოლო არასრული ნეკნებიანი კონები – ზედნადებებზე არსებული წარწერების მიხედვით.

5. ინკასატორების მიერ მონეტები მიიღება როგორც სრული, ისე არასრული ტომრებით შეფუთვის სისწორისა და მთლიანობის, ტომრებზე მიმაგრებულ იარლიყებზე მონეტის ნომინალური ღირებულებისა და შიგთავსი თანხის აღნიშვნის არსებობის, პლომბებისა და მოლარეთა ხელმოწერების მთლიანობისა და მკაფიოობის შემოწმებით.

6. ინკასატორების მიერ მიღებას არ ექვემდებარება დაზიანებული შეფუთვის ან სხვა რაიმე დეფექტის მქონე ბანკნოტების კონები და მონეტებიანი ტომრები.

7. ინკასატორების მიერ ფასეულობის მიღება დასტურდება შესაბამის გასავლის ორდერზე მათი ხელმოწერებით.

8. ინკასატორების მიერ შემოწმების შემდეგ მიღებული ფასეულობა თავსდება ტომრებში, რომელიც მჭიდროდ შეიკვრება ხეზით. ხეზის ბოლოებზე ჩამოეცმევა იარლიყი, რომელზეც აღინიშნება შიგთავსი თანხა და ნომინალის დასახელება, შეფუთვის თარიღი და ხელს აწერს უფროსი ინკასატორი.

9. საზღვარგარეთიდან ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღებისას მოწმდება ფასეულობის თანმხლებ უწყისსა და ტომრებზე (ფასეულობის შეფუთვის სხვა საშუალებაზე) არსებული პლომბების ნომრების (სხვა რეკვიზიტების) შესაბამისობა.

10. ინკასატორების მიერ აღნიშნული ფასეულობის საკასო ცენტრში ჩაბარება ხორციელდება ტომრებისა და პლომბების (ფასეულობის შეფუთვის სხვა საშუალებების) სიმრთელის შემოწმებით და მათი ნომრების (სხვა რეკვიზიტების) თანმხლებ უწყისთან შედარების შემდეგ დგება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იქნეს ფასეულობიანი ტომრის (ყუთის ან შეფუთვის სხვა საშუალების) რაოდენობა, გამოცხადებული თანხა, პლომბების ნომრები ან შეფუთვის საშუალებაზე არსებული სხვა რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების თარიღი.

11. საზღვარგარეთ გასაგზავნი ნაღდი ფული და ფასეულობა ანალოგიური წესით გადაეცემა ფასეულობის მიღებისათვის შესაბამის პასუხისმგებელ პირს, რაც დასტურდება თანმხლებ უწყისზე მისი ხელმოწერით.

12. მიღებული და ტომრებში მოთავსებული ფასეულობის დაცულობასა და პლომბების მთლიანობისათვის სრული მატერიალური პასუხისმგებლობა სოლიდარულად ეკისრება ფასეულობის გადაზიდვისათვის გამოყოფილ ყველა ინკასატორს.

მუხლი 21. მიღებული ფასეულობის გადაზიდვის წესი

1. საცავის წინამდებარე ოთახიდან ინკასატორთა მიერ მიღებული ფასეულობის გამოტანა ტრანსპორტირებისათვის ხორციელდება გადაზიდვის მონაწილე ყველა ინკასატორის თანდასწრებით. ფასეულობის გადაადგილებისას ავტომანქანასა და სხვა სახის ტრანსპორტზე, სადგომიდან სადგომში აუცილებლად გადაითვლება ტომრების (შეფუთვის სხვა საშუალებების) რაოდენობა, ხოლო ინკასატორები განლაგდებიან ისე, რომ შესაძლებელი იყოს ფასეულობის გადაადგილების დანახვა, უფროსი ინკასატორი კი იმყოფება იქ, სადაც საბოლოოდ თავსდება ფასეულობა.

2. ფასეულობის გადაზიდვა ხორციელდება დავალების შემსრულებელი ყველა ინკასატორის თანხლებით ჯავშნიანი დახურული ძარის მქონე ეროვნული ბანკის ავტომანქანებით. განსაკუთრებულ შემთხვევაში დიდი ოდენობის ფასეულობის გადაზიდვა დასაშვებია დახურული ძარის მქონე დაქირავებული ავტოტრანსპორტით გაძლიერებული დაცვის თანხლებით.

3. ფასეულობიანი ავტომანქანების მსვლელობისას უფროსი ინკასატორი იმყოფება მძღოლის კაბინაში. კატეგორიულად აკრძალულია ინკასატორთა სხვაგან შევლა, აგრეთვე ავტომანქანით უცხო პირთა გადაყვანა და იმ ტვირთების გადაზიდვა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფასეულობასთან.

4. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ფასეულობის დანიშნულების ადგილზე მიტანა სამუშაო საათებში, უფროსი ინკასატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს საკასო ცენტრის სპეცგადაზიდვებისათვის პასუხისმგებელ მუშაკებს, რათა ნაღდ ფულთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის წესების დაცვით მოხდეს ეროვნული ბანკის ფასეულობის მიმღები ფილიალის ხელმძღვანელობის გაფრთხილება. ფილიალის მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან ნებისმიერ დროს მიიღონ აღნიშნული ფასეულობა დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 22. ინკასატორების მიერ ფასეულობის ჩაბარების წესი

1. ფასეულობის ჩაბარება ხორციელდება ფასეულობის გადაზიდვის ოპერაციაში მონაწილე ყველა ინკასატორის თანდასწრებით.

2. ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში (ფილიალში) ინკასატორებისაგან ფასეულობა მიიღება დავალების საფუძველზე, შესაბამისი ნუსხით საკასო ცენტრის (ფილიალის) მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირების მიერ კონების შეფუთვის სისწორისა და მთლიანობის, მათზე პლომბების, კლიშეების მთელი და მკაფიო ანაბეჭდების, თითოეულ კონაში ნეკნების რაოდენობის, შეფუთვის თარიღის, ზედნაღებზე მითითებული თანხების სისწორის აღნიშვნის, მფორმირებლის ხელმოწერების, შტამპების, ბანკის დასახელებიანი შტამპის არსებობის შემოწმებით. მონეტები მიიღება ტომრებით შეფუთვის სისწორისა და მთლიანობის, ტომრების იარლიყებზე ბანკის დასახელების, ფშ-ს ნომრის, შეფუთვის თარიღის, მონეტის ღირებულების, ჩადებული თანხის აღნიშვნის არსებობის, პლომბების ანაბეჭდების მთლიანობისა და მკაფიოობის, მფორმირებლის ხელმოწერისა და შტამპის არსებობის შემოწმებით.

3. ინკასატორთა მიერ დაზიანებული ან საეჭვო შეფუთვის ბანკნოტების კონებისა და მონეტებიანი ტომრების მიტანის შემთხვევაში ფასეულობა მიიღება ფურცლობით ან ცალობით საკონტროლოდ გადათვლის შემდეგ ინკასატორთა თანდასწრებით.

4. ინკასატორებისაგან ფასეულობის მიღებისას დანაკლისის, ზედმეტობის ან სხვა რაიმე ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი, რასაც ხელს აწერს ყველა ინკასატორი და სამივე მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

5. ინკასატორებისაგან ფასეულობის მიღების შემდეგ ფილიალის (საკასო ცენტრის) მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ხელს აწერენ ნუსხის ორივე პირის უკანა მხარეს, რაც მოწმდება შესაბამისი ბეჭდით. შემდეგ ნუსხის ორივე პირს ხელს აწერს ყველა ინკასატორი,

ნუსხის ერთი პირი რჩება ფასეულობის მიმღებს, ხოლო მეორე – უფროს ინკასატორს.

6. ეროვნული ბანკის ფილიალი შესაბამისი დავალების წარდგენისას ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილი წესით ფასეულობის მიღება ეროვნული ბანკის ინკასატორებისაგან ან მათთვის ფასეულობის გაცემა არა მარტო სამუშაო, არამედ დასვენების დღეებშიც.

მუხლი 23. ფასეულობის გადაზიდვის ოპერაციის მონაწილე პირთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

1. ფასეულობის დაცვის, ადგილზე მიტანის, აგრეთვე ინკასატორთა უსაფრთხოებისათვის საჭირო პირობების შექმნისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ფუნქციონალური განაწილების საფუძველზე საკასო ცენტრის შესაბამის მუშაკს.

2. გადაზიდვის მონაწილე ინკასატორთა ბრიგადის მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უფროს ინკასატორს.

3. ფასეულობის ტრანსპორტირებისას ან ჩაბარების დროს გამოვლენილი მისი დაკარგვის, მოპარვის ან სხვა ნეგატიური მოვლენების შემთხვევაში უფროსი ინკასატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს საქართველოს ეროვნულ ბანკს, ფასეულობის გამგზავნს და განუცხადოს შინაგან საქმეთა ორგანოებს ფასეულობის მოძებნისა და შემთხვევის გამოძიებისათვის სასწრაფო ზომების მისაღებად.

4. ინკასატორები ვალდებული არიან შეასრულონ უფროსი ინკასატორის ყველა სამსახურებრივი განკარგულება.

5. ფასეულობის გადაზიდვის მონაწილე ყველა ინკასატორი სოლიდარულად აგებს პასუხს მათთვის მინდობილი ფასეულობის დაცვისათვის.

შენიშვნა:

1) NN 3, 23, 25, 31, 32, 33, 34 დანართები წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმებს. ამასთან, ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის (დანართები N31), კუპიურული (დანართი N32) და სარეზერვო ფონდების აღრიცხვის წიგნები (დანართი N33), დაცვის საკონტროლო ჟურნალი (დანართი N34) უნდა იყოს აკინძული, ზონარგაყრილი და დალუქული საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის ბეჭდით.

2) NN 2, 6, 7, 9, 9-ა, 9-ბ დანართებში აღნიშნული ინფორმაციების გადაცემა ხდება სპეციალური დაშიფრული პროგრამით, რომლის გახსნისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ საქმისათვის მიმაგრებულ შესაბამის მუშაკს.